№ 44 თებერვლის 25, სამშაბათი 1903 წ.

1877

# ივერია

1903

№ 44 თებერვლის 25, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თებერვლიდან წლის ბოლომდე
გაზ. „ივერია"
ჰღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია" ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., ამის მაგიერ, რომ ეყოლიდეთ—6 მ., ამიტომ ქვემოდეთ დაწვრილებით, რამდენი თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ. 75 კ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)
კლერის სისტემისა
„იდეალ"

სახელმწიფოთაშორისო კონგრესზე ლიონში უმაღლესი საჩუქარი მიიღო. მკვიდრად გაკეთებული და მშვენიერი სულ უფასოდ შეიძლება. ... პეტრე ქიქიანი ტფილისში, ... ქუჩა, სახლი მაკაროვისა. ტელეფონი 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლში წყნეთის ქუჩაზე. (12—6.—4)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ სუფთა ყურძნის
კახური ღვინის
შესანახად და დასავლებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები კოტოხოვ მაკაროვისა. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლღის ქუჩა, ტელეფონი № 150).
ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.
ნარიდან მსყიდველთა და მეფიშე მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ამ ბოთლებზე ნაკლები არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინის კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.
ღვინო ისყიდება:
საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრიანსკისა, ტელეფ. № 595.
დუქ. № 2, ... ტელეფ. № 210
დუქ. № 1, სასახლის ქუჩა, ... ტელეფ. № 60.
... (25—6.—5)

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.
ვღებულობთ ქალთა ტანისამოსის შესაკერად
უმეტესად ხელ-მისაწვდომ ფასად.
ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელოსნობისას.
აქვე მიიღება შესაკერად
კაბა-ანაფორა
და სხვა სასულიერო სამოსელი.
ტფილისი, წმ. გიორგის (ქაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ...
ჭრა-კერვისა და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე ანა მირაქიანისა.

№ 37. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 თებერვალს, 1903 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის
მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

I

ორი დარაჯი

მელოდრამა 3 მოქ. იტალიურიდან გადმოთარგმნ.
ფ. ქორიძეს მიერ.

II

თაგვის ბრალია

ვოდევ. 1 მოქ. ფრანგულიდან.

მონაწილეობას ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი: გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, იმედაშვილი და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 3 მ.-დგან 8 მ.-მდ., პარტერი 50 კ.-დგან 2 მ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დგან 1 მ.-მდე, გალერეა 20—35 კ.
შეგირდებისათვის ადგილები 40 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ნორა", „ოტელო" და „ყაჩაღები".

რეჟისორი ვალ. გუნია.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (ივ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . . ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე „
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი. „
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი. საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჭელიძე ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა . , . . განჯაში,
11, აბელ იაშვილი . . . დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვ.ილი . . . ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე ყარსში.

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ალაგობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად
ფარს იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისათვის —„სკრა", კავკ. რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი" წერილებისა: გორში, ფარს. იაკ. ავსარქისოვს.

კატალოგები მსურველთ გაეგზავნებათ უფასოდ. (6—33—5)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საქირდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.
ა. ზ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბაკინა 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.
ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

## ტფილისი 25 თებერვალი.

ჩვენს ნაღვლიანს ცხოვრებაში გაზეთს იშვიათად აქვს შემთხვევა თვისი მკითხველი რაიმე სასიამოვნო ამბით გაახაროს.

თითქმის ერთი წელიწადია, რაც ჩვენს ქართველობაში და ქართულს მწერლობაში ზოგიერთთა ხმა გაისმის, სკოლის აშენება დავიწყეთ და მისი დამთავრების შეძლება-კი აღარა გვაქვსო.

მაგრამ ეს ხმა გაისმის იმათგან, ვინც საქმის გარემოებას დაახლოვებით არ იცნობს და ჩვენ-კი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ გამგე კომიტეტს საზოგადოება თავისს თანაგრძნობას არ მოაკლებდა და შეერთებულის ძალით დაწყებული საქმე კეთილად დაბოლოვდებოდა.

მაინც დღევანდლამდის არავინ იყო დარწმუნებული, რომ სკოლის შენობას წელს უეჭველად ჭერს დაჰხურავდნენ.

ამისათვის ზოგი საყვედურსაც ეუბნებოდა საქმის მოთავეთ, რად დაიწყეთ ისეთი მძიმე საქმე, რომლის დაბოლოვება დროზედ არც შეგეძლოთ და არც შეგიძლიანთო.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ქველმოქმედებით გამოჩენილი, საქართველოს შვილი ბ-ნი სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი და, როგორც „ივერიის" კორესპონდენტი გვატყობინებს დეპეშით ბაქოდგან, 22 ამ თვეს „შესწირა სკოლის შენობის სასარგებლოდ ამ ხანად ხუთი ათასი თუმანი (50,000 მან.)".

ეს შესანიშნავი შეწირულობა სწორედ ის სევდის მალამოა, რომელსაც შეუძლიან გაგვიქარვოს ჩვენი დარდი და გამგე კომიტეტს შეაძლებინოს წელსვე ამ ფულით მთელი შენობა შავად მაინც დაამთავროს

მართალია, შენობის შიგნით და გარედ გალესვას, კარ-ფანჯრის მომზადებას, პოლისა და ლამფის გაკეთებას და ბევრს სხვა რასმეს კიდევ დიდი ფული მოუნდება, მაგრამ ამ ფულის შოვნა, შემდგომ ბ-ნ ზუბალაშვილის შემოწირულობისა გაადვილდება, რადგანაც მადლიანი კაცი, შეიძლება, კიდევ გამოჩნდეს და ამგვარად საჭირო საქმე სასურველად დაბოლოვდეს.

მართალია, წინადაც, სკოლის შენობის დაწყებისათანავე, ამ საქმეს ბევრმა შესწირა და მათ შორის ერთმა მრავალგვარი დახმარება აღმოუჩინა და კიდევაც აღმოუჩენს, ხოლო მათს მაგალითს არ მიჰბაძეს იმათ, ვისაც შეუძლიანთ ხელი გაუმართონ ამ საშვილიშვილო საქმეს.

ახლა-კი ბ-ნ ზუბალაშვილის შემოწირულობამ დიდი იმედები გაგვიღვიძა, რადგანაც მის მაგალითს, მოსალოდნელია, ბევრმა მიჰბაძოს. მით უმეტეს, რომ ჩვენს ქართველობაში არა ერთი და ორი შეძლებული კაცი მოიპოვება, მაგრამ, ჩვენ და სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ზოგიერთი მათგანი საზოგადოების ჭირსა და ვარამს არა ვითარს ყურადღებას არ აქცევს და, გარდა თავის საკუთარის ინტერესისა, არაფერი ახსოვს.

ზოგნი მათგანი იტყვიან, მე რომ ზუბალაშვილის შეძლება მქონდეს, იმაზედ ბევრს შევსწირავდიო, მაგრამ ეს ხომ ყოვლად შეუწყნარებელი თავის გამართლებაა. ამას მხოლოდ მაშინ იძახიან, როდესაც თვისი მამულ-დედული სულ მთლად გაუფლანგავთ სხვა და სხვა სიამოვნებაში და ახლა ცარიელზე სხედან.

ჩვენს უხეირო ქართველობაში ისეთებიც გვეგულებიან, რომელთაც ბედმა მეორედ გაუღიმა და შემდგომ პირველის სამკვიდროს გაფლანგვისა, რამდენისამე მილიონის მემკვიდრეობა ხელში ჩაუვარდათ. მანამდის ამ მილიონებს მიიღებდნენ, ყოველს მდიდარს ჰკიცხავდნენ, საზოგადო საქმისათვის არასა სწირავსო, და როცა-კი თვითონ გამდიდრდნენ, ყველას ზურგი შეუქციეს.

დიაღ, ბ-ნ ზუბალაშვილის ქველმოქმედება ბევრს დიდად ასიამოვნებს და გაახარებს, ამავე დროს ბევრს წამოაწითლებს და ბევრს მძინარეს გამოაფხიზლებს...

## ტფილისი

✦ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც განაგრძობს ბ. გოგიჩაიშვილის მოხსენების განხილვას „О малоземеліи въ закавказскомъ краѣ".

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ამჟამად მიუღია საქართველოს სხვა-და-სხვა მამულეთაგან წერილები, რომლებიც ითხოვენ ამერიკულ ვაზის რქას.

✦ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ერთის თვის წინად კავკასიის გზათა მმართველობამ საცდელათ გამოუშვა ქალაქის ქუჩებში გზატკეცილების დამზებავი მაშინა; მაშინა, როგორც შემოუდგა ბარიათინსკის აღმართს მოიშალა, დაგორდა თავქვე და ეცა სამეურნეო საზოგადოების სადგურის კიბეს; სამეურნეო საზოგადოებამ გზათა მმართველობას წარუდგინა ზარალის ანგარიში და თხოვა დაკმაყოფილებას; გუშინ გზათა მმართველობისაგან მოუვიდა საზოგადოებას დაკმაყოფილების პასუხი და მასთანავე ფულიც.

✦ ქალაქის თავმა ოფიციალურად მიჰმართა ტფილისის სკოლათა აღმსრულებელ კომისიას და სთხოვა შეატყობინოს, მას აქეთ რაც სახელოსნო სკოლის დირექტორი კომისიის მიერ დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, ვინ განაგებდა სკოლის საქმეებსაო.

✦ ქართლიდგან გვატყობინებენ: არა ჩვე

ლებრივმა ზამთარმა განსაკუთრებით ჩააყენა მცხოვრებნი და მომთაბარეთა ცხვრის პატრონები; დიდი თოვლის გამო, ცხვარი, [illegible] ფარეხში; რადგანაც ამისთანა ზამთარი არ მოულოდნიათ, ამიტომ ვერც ფურაჟი და ვერც თივა დაამზადეს საკმარისად; [illegible]

[illegible]

✦ [illegible]

✦ [illegible]

✦ [illegible]

# ფელეტონი

## ჩვენი საზოგადო მოღვაწეობის ნიმუშები

(იმის გამო, თუ რას მოახმარენ ეხლა დანიშნულ ნაწილს 20,000 მან.)

(დასასრული *)

[illegible]

*) იხ. „ივერია“ № 41.

გენილ პროექტის მიხედვით, შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ კავკასიის ოლქის სკოლათა მზრუნველმა მიმართა ქალაქის თავს და სთხოვა შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია ამიროვისა და ურდუბეგოვის სახელობაზედ სტიპენდიების დანიშვნის შესახებ პროექტიო; უნდა აქვე მოგახსენოთ, რომ აგერ 22 მაისიდგან 1902 წლისა, მიწერ-მოწერაა გაგრძელებული ამ საქმის თაობაზედ და აქამომდე ამ მიწერ-მოწერას დასაბამი არ უჩანს.

✦ წარსულ კვირას გამგეობის წევრმა ბატონმა ეფინჯიანცმა და ახლად მოწვეულმა ქალაქის ინჟინერმა კოკნოვიცკიმ დაათვალიერეს ავჭალაში ქალაქის წყის მილის უმთავრესი სადგური; სადგური გამგემ, ბ. ლისიცევიჩმა აჩვენა აგრეთვე ის სიმაგრენი, რომელიც მან აგო წყლის ადიდების საწინააღმდეგოდ.

✦ [illegible] დეპუტატების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ს. გ. კაფიევი.

✦ ხუთშაბათს 27 თებერვალს ქართულ თეატრში დაიწყება ქართული წარმოდგენები; წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზედ ახალი პიესა „ორი დარაჯი“.

✦ თბილისის ქალაქის თავმა აუწყა გუბერნატორს, რომ თბილისის პოლიცმეისტერისაგან შედგენილი პროექტი ცეცხლის მქრობელი რაზმის გაუმჯობესების შესახებ განიხილა კომისსიამაო და ახლო მომავალში წარდგენილ იქნება საბჭოში განსახილველათაო.

✦ კარგა ხანია, მკითხველებს ვაუწყებდით, რომ ზოგიერთა პირთ განიზრახეს დაარსონ საშუამდგომლო ვაჭრობის კანტორა, რომელსაც ის დანიშნულება უნდა ქონდეს, რომ აქაური მოუმზადებელი მასალა სამზღვარგარეთის მექარხნეებს შეეძლოთ პირველ ხელიდგანვე შეიძინონ; ზოგიერთა პირთ, ამ განზრახულებას მუყაიოდ მოჰკიდეს ხელი; ამ საქმის თაობაზედ გუშინწინაც მოხდა კრება, რომლის ანგარიშსაც დაწვრილებით ვაუწყებთ მკითხველებს შემდეგისთვის.

## თელავის მაზრის თავად-აზნაურთა კრება

14 თებერვალს, დილის 10 საათზედ, დაიწყო კრება, მაზრის წინამძღოლის თავ. დიმიტრი ერასტის ძის ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით, და, რადგანაც უმრავლესობა კრებაზედ დამსწრეთა ამავე დღეს მიწვეული იყო კახეთის მევენახეთა საზოგადოების კრებაზედ, წინამძღოლმა კრება გადასდო 15 თებერვლისათვის. 15 თებერვალს თელავის თავ.-აზნაურობამ, თელავის მოქალაქეთა წარმომადგენლებმა კერძო კრებაზედ, წინამძღოლის თავმჯდომარეობით, მოისმინეს წინადადება კახეთის რკინის გზის კონცესიონერებისა თავ. ნ. დ. ჭავჭავაძისა და ინჟინერის სიმბერგისა, რომელთა წარმომადგენლად კრებაზედ იყო თავ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე. აი შინაარსი წინადადებისა:

„ამით პატივი გვაქვს გაცნობოთ თქვენ რომ, თავ. ნ. დ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით და თანა მონაწილეობით საფინანსო, მთავრობის და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელთა, სდგება საზოგადოება, რომელიც გაიყვანს კახეთის განიერ რკინის გზას, თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის 10 მარტს 1900 წ. წესდებისა.

„აწ იწყებს-რა საზოგადოება მოქმედებას, საჭიროდ სთვლის მოგმართოთ თქვენ შემდეგის განმარტებით.

„კახეთის რკინის გზის მიმართულება იწყება ტფილისიდამ, გაივლის ზემო ავჭალას, არაგვის ხეობით, და შეუხვევს ერწოზედ (თიანეთის მაზრა), გაივლის უკუღმართზედ (6 ვერსზედ თიანეთიდამ), შევა სოფ. ახმეტაში, აქედამ დაწყებული გაივლის მთელ ალაზნის ველს მდინარის მარჯვენა ნაპირზედ, გაივლის თელავს, სოფ. წინანდალს, მუკუზანს, ბაკურციხეს, კარდენახს, გაივლის სიღნაღის ახლო და გათავდება სოფ. საქობოს მახლობლად სიღნაღის მაზრისა და ზაქათლის ოლქის სამზღვარზედ. შემდეგისათვის იგივე გზა გაგრძელებულ იქმნება, გაივლის ზაქათალის, ნუხს და შეუერთდება რუსეთის უმთავრეს რკინის გზების ლიანდაგს ან სადგ. ევლახთან და ან ბალაჯართან.

„პროექტი ამ მიმართულებისა ზედ-მიწევნით არის გამოკვლეული. როგორც ტეხნიკის მხრივ, აგრედვე კომერციულ და ეკონომიურ მხრივაც და დამტკიცებულია შემდეგ იმისა, როცა ყოველი წვლილი ამისი და სხვა ყველა პროექტებისა, რომლებიც-კი იმ დროსათვის ხელთა ჰქონდა მთავრობას, დაწვრილებით შემოწმებულ იქმნა.

სიგრძე მიმართულებისა პროექტით არის 166,8 ვერსი, მაგრამ შეიძლება შემოკლებულ იქმნას 20—30 ვერსით ისე, რომ არა დაკლდეს-რა გზას, მაშინ სიგრძე გზისა იქნება 140—150 ვერსი. ფასი გზისა ანუსხულია და შეადგენს 12,000,000 მ. ეს ჯამი შეიძლება შემცირებულ იქმნას თუ ვიფიქრებთ პირველად იმას, რომ სიგრძე შესაძლებელია შემოკლდეს, როგორც ზევით არის მოხსენებული, მეორეთ, რომ საშენებელი მასალა და თვით ვაგონები ახლა უფრო იაფია, ვიდრე მაშინ, როცა ინუსხებოდა ფასი ამ საგნებისა, შედარებით ერევნის რკინის გზისა, რომელსაც ძნელად დასაძლევი ტოპოგრაფიული დაბრკოლებანი ჰქონდა, კახეთის რკინის გზის გაყვანა არ უნდა დაჯდეს 10,000,000 მ. მეტი.

შემოსავალი გზისა ნავარაუდევია შემდეგ ოფიციალურ ცნობათა მიხედვით. დუშეთის, თიანეთის, თელავის, სიღნაღის მაზრებიდამ და ზაქათალის ოლქის ნაწილიდამ, რომლებსაც რკინის გზა სამსახურს გაუწევს, გაიტანება და შემოიტანება: სურსათი (ხორბალი, ქერი, სიმინდი, ბრინჯი, ფქვილი და სხვ.) 2,000,000 ფ.

| | |
|---|---|
| ღვინო, არაყი და სპირტი | 2,000,000 ფ. |
| ხილეულობა და ყურძენი | 500,000 ფ. |
| სხვილფეხი და წვრილფეხი საქონელი და მატყლი, ერბო, ყველი | 500,000 ფ. |
| ტყის მასალა. შეშა დანახშირი | 4,000,000 ფ. |
| ფაბრიკის ნაწარმოები, რკინეულობა და სხვ. | 3,000,000 ფ. |
| სულ | 12,000,000 ფ. |

საქონლის ზიდვა და მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანა რომ ვიანგარიშოთ იმ ფასებით, რომლებიც მიღებულია საგზაო სამინისტროდამ, წლიური შემოსავალი გზისა გამოიხატება 1,500,000 მანეთით.

გასავალი. თანახმად საგზაო სამინისტროს გამოანგარიშებისა, ე. ი. 2000 მან. ვერსზედ და 60 კაპ. ვერსზევე თვითო პოეზდისა, შეადგენს 500,000 მან.; 5% სესხით აღებულ თავნისა, რომელიც არ აღემატება 9,600,000 მან. და 2% სათადარიგო თავნისა შეადგენენ 550,000 მანეთი, წმინდა მოგებად დარჩება 400,000 მანეთამდე, (ე. ი. 17% დივიდენდი აქციაზედ).

კახეთის რკინის გზის გასაყვანად საჭირო ფული შესდგება ორნაირი თავნისაგან. როგორც ზევით ითქვა, გზას უნდება 12 მილიონი მანეთი, ამისი 20%, ე. ი. 2,400,000 მ. უნდა იყოს საამხანაგო ფული, წოდებული სააქციონერო თავნად, 80%, ე. ი. 9,600,000 მან. უნდა იყოს ნასესხი, წოდებული საობლიგაციო თავნად.

აქციებს ეძლევათ მთელი წმინდა მოგება და აქციების პატრონები ითვლებიან გზის პატრონებად.

ობლიგაციები უზრუნველყოფილია რკინის გზის ქონებით და ამას გარდა მთავრობა უზრუნველ ჰყოფს 10 წლის განმავლობაში იმ წმინდა შემოსავლით, რომელიც ექნება ამიერ-კავკასიის რკინის გზას კახეთის რკინის გზის შემწეობით გადმოზიდულ საქონლისაგან.

ნასესხი ანუ საობლიგაციო თავნის ხარჯვა იწყება იმ დროდგან, როცა ნახევარი საამხანაგო თავნი შეგროვებულ იქმნება: ამ დროისათვის საზოგადოება ჩაითვლება დაარსებულად და ფინანსის მინისტრის ნება რთვით გამოსცემს ობლიგაციებს.

საობლიგაციო თავნი, ანუ სასესხებელი თავნი უკვე ნაშოვნია სასარგებლო პირობებით.

განაღდება აქციებისა უცხოეთის ბირჟაზედ ვერ არის საიმედო, რადგანაც არ არის შეკრებილი უვადო ცნობანი, რომლითაც შეიძლებოდეს შემოსავლის ნამდვილად გამოანგარიშება, ამისათვის დამფუძნებელნი კახეთის რკინის გზის საზოგადოებისა წინადადებას აძლევენ ყველა მამულის პატრონებს, იმ ადგილებში, სადაც სამსახურს გაუწევს რკინის გზა, მოაწერონ ხელი კახეთის რკინის გზის აქციებზედ 5 მანეთი დესიატინაზედ, ანუ 10—15% მამულის ღირებულებისა, როგორც არის დაფასებული დაგირავების დროს.

იმ მემამულეთა შესახებ, რომელთაც სურვილი აქვთ შეიძინონ აქციები, მაგრამ ფული-კი არა აქვთ, საზოგადოება იშუამდგომლებს მიეცეთ დამატებითი სესხი 10% მამულის ღირებულობის გირავნობის ოქმით, იმ პირობით-კი, რომ ეს დამატებითი სესხი მოხმარებულ იქმნას კახეთის რკინის გზის აქციების შეძენაზედ. ამ ნაირად საქმის მოწყობაზედ თანახმანი არიან ადგილობრივი ბანკები. ამასთანავე საჭიროა ფასი იმ მამულებისა, რომლებსაც რკინის გზის ლიანდაგი დაიტანს, მეპატრონეთ მიიღონ აქციები და არა ფულად.

თვალ-საჩინო სარგებლობა აქაურ მემამულეთა აქციების შემძენთათვის შემდეგია:

1, საზოგადოდ მამულების ფასის აწევა. რკინის გზის გაყვანის შემდეგ ყოველ შემთხვევაში მამულებზედ იმდენად აიწევს ფასი, რომ სრულიად დაჰფარავს იმ ფულის რაოდენობას, რამდენისასაც შეიძენენ მემამულენი აქციებს (ე. ი. 5 მან. დესეტინაზედ).

2, სამეურნეო ნაწარმოები უფრო ადვილად და პატრონისთვის სასარგებლოდ გაიყიდება, რა-კი ადვილი და იაფი იქმნება მისი გადატანა; აქედან ცხადია, რომ ნაწარმოების რაოდენობაც იმატებს, გაიზრდება.

3, ეკონომიური მდგომარეობა მცხოვრებლებისა შეიცვლება და უეჭველია ამას მოჰყვება მთელის მხარის ეკონომიურად განვითარება.

4, გზა რჩება ადგილობრივ მცხოვრებელთა ხელში, რაც ეკონომიურად დამოუკიდებელ ჰყოფს მათ უცხოელთაგან.

5, ჩქარა და იაფად გზის გაყვანა მაშინ მოხერხდება, როცა სააქციონერო თავნი შემდგარი იქმნება ადგილობრივ მცხოვრებელთაგან.

6, მთელი მოგება გზის გაყვანისა და გზის შემოსავლისა აქავ დარჩება და არ გადავა უცხოელთა ჯიბეში.

7, მომეტებული ნაწილი გზის გაყვანაზედ დასახარჯ ფულისა, მთელი ხარჯი გზის შენახვისა და გზაზედ მოსამსახურეთა ჯამაგირისა, რადგანაც უფრო აქაურები იქმნებიან, დარჩება ადგილობრივ მცხოვრებელთა ხელში.

დივიდენდი, ზემორე აღნიშნულ ანგარიშით, (400,000 მან. 2,400,000 მანეთზედ) სააქციონერო თავნზედ მოდის 17%. თუ გზის გაყვანის ღირებულება ისე შემცირდება (12 მილიონიდამ 10 მილიონამდე) და ამას მივუმატებთ ეკონომიას ობლიგაციების სარგებლისას (5% მაგიერ 4%) დივიდენდი 24%-დე იქმნება. კახეთის რკინის გზა დაემგზავსება ამიერ საქართველოს რკინის გზას და ტფილისის კონკას, რომლებსაც ბევრი დამწუნებელი ჰყავდათ, და შეიქმნება მეტად სასარგებლო საქმედ.

როცა კახეთის რკინის გზა ევლახს შეუერთდება, იგი ჩაითვლება უმთავრეს გზათა რიცხვში, ანუ შეიქმნება მაგისტრალური, მაშინ გადასატანი და გადასაყვანი ფასები ისეთივე იქნება, როგორც არის ამიერ-საქართველოს რკინის გზაზედ, ამიტომ კახეთის რკინის გზას ბევრს ტვირთს მისცემს ამიერ კავკასიის რკინის გზა, რაც გზას შემოსავალს მოუმატებს; მაშინ ნავთის მწარმოებელნი ეცდებიან თვით შეიქმნან აქციონერებად, რომ თვითვე დაუბრუნდეთ მოგება გზისა, როგორც ეს ამერიკაში და ავსტრიაშია.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქციები კახეთის რკინის გზისა, თანახმად წესდების 26 მუხლისა, გირაოდ ითვლებიან წინაშე ხაზინისა იმმოვალეობის უზრუნველ საყოფელად, რასაც ხაზინა კისრულობს.

ამისთანა სასარგებლო პირობების გამო აქციების ფასი და მათი დივიდენდი (სარგებელი) იმატებს ისევე, როგორც მოჰხდა ყველა დიდ მოგებიან რკინის გზების შესახებ. წინად დადებული ფასი კახეთის რკინის გზის აქციისა შეიძლება რამდენჯერმე გაორკეცდეს და 100 მან. აქცია 300 და 400 მან. იყიდებოდეს. რკინის გზების აქციები, რომლებიც პირველ ხანში 6% დივიდენდს იძლევიან, ბირჟაზედ მუდამ ზედ-მეტად ფასობენ, ვიდრე თავად ღირებულან. აქციებზედ ხელის მოწერა მიიღება მარტო იმ პირობით, თუ ხელის მოწერის მსურველი შეიტანს მთელს ფულს სახელმწიფო ბანკში და მიიღებს შესაფერ კვიტანციას. ბანკში შეტანილი ფული არც გამოიტანება ბანკიდამ, არც დაიხარჯება ფინანსთა მინისტრის ნება დაურთველად. როცა საამხანაგო ანუ სააქციონერო თავნის ნახევარი შეკრებილი იქმნება

მეტებული, —ღარიბებმა ვერ შესძლეს შვილების გამოზრდა და ბევრი უბედურებაც დაატყდათ თავსა, რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ დღეს, როდესაც შეძლებამ დიდად დაიკლო და ცხოვრების მოთხოვნილებამ ერთიორად და სამად იმატა?

ეს სასწავლებელი მხოლოდ შეძლებულთ გაუადვილებს შვილების აღზრდას და ჩვენი მოლოდინი, რომ იგი განათლების გზას გაუხსნის ღარიბთა შვილებსაო, სწორედ ნამდვილ თავის მოტყუილებად დარჩება. ერთადერთი ამ გზის გასახსნელი საშუალება სტიპენდია არის და, ვისაც წმინდის გულით სურს, ღარიბები არ გამოწყდნენ განათლებულებში და დიდი უმეტესობა თავად-აზნაურთა შვილებისა სასწავლებლის გარეშე არ დარჩეს, მიემხრობა იმ აზრს, რომ ეს სამუდამო სალარი გახდეს ნუგეშად და განათლების წყაროდ მუდამ გამოულეველის სიღარიბისათვის. მეორე, ჩვენის საჭიროების შესახებ ჩვენ სრულიად უნუგეშონი არა ვართ, ღარიბებისათვის-კი არსით არას მოველით და მთელი საუკუნე უნდა დავიცადოთ, რომ ახლანდელი საკითხი კიდევ მეორედ დადგინდეს მათ შესახებ. მაგრამ, რადგან ჩვენ და ჩვენი მოწინააღმდეგენი სრულიად სხვა-და-სხვა თვალით ვუყურებთ სიღარიბეს, აქ საჭიროა გავითვალისწინოთ, ვინ არიან ღარიბნი. ერთმან მათგანმა სიღარიბის განსამარტებლად მოიყვანა შემდეგი მაგალითი.

„ღარიბ თავადისა თუ აზნაურს საშუალო შემოსავალი უნდა ვიანგარიშოთ წლიურად 400—500 მან. მის ოჯახშია დაახლოვებით ხუთი სული, ამრიგად თითოზედ სარჩოდ წელიწადში ასი მანეთი მოდის. მან უნდა აღზარდოს ერთი შვილი მაინც, რომლის მომზადება 1000 მან. უჯდება. ამისათვის მან უნდა ჩამოსჭრას ერთი კვალი მიწა და გაჰყიდოს—გაჰყიდოს რაც არჩენს, იმ იმედით, რომ შვილს გამოზდის და შეჰქმნის ოჯახის ბურჯად; მაგრამ უვაკანსიობის გამო მის შვილს გიმნაზიაში არ იღებენ და იღუპება. ამას შემდეგ, ვინ უნდა სთქვას, რომ სასწავლებლის გახსნა უმთავრესს საჭიროებას არ შეადგენსო“.

ამ არაკში არაფერია მართალი. არც ფაქტიურად და არც ლოღიკურად. დღეს ღარიბი არ არის ის, ვისაც 400—500 მ. წლიური შემოსავალი აქვს. ასეთის შემოსავლის პატრონი, ჩვენებური გაფრთხილებული კაცი ერთს შვილს ისე გამოზდის, რომ ერთს მტკაველს მიწასაც არ შეელევა. თუ ამ შეძლების კაცმა ჯერ მარტო შვილის მოსამზადებლად ჩამოსჭრა ერთ კვალს მარჩენალ მიწას 1000 მ. ნაკვეთი, რამდენჯერ უნდა ჩამოსჭრას იმავე ერთს კვალს მიწას და გაჰყიდოს ას-თუმნიანი ნაკვეთები, რომ თავისს შვილს სწავლა-განათლება დაამთავრებინოს? რომელ ღარიბს კაცსა აქვს ასეთი ნაკვეთი მიწა, რომ ამისთანა ოპერაციებს გაუძლოს? რომ ამგვარად ჩვენი მოწინააღმდეგე, კრების მაგიერად თავის თავს დაჰკითხებოდა, ეჭვი არ არის მიხვდებოდა, რომ მისგან მოგონილ ღარიბისათვისაც საჭირო ყოფილა სტიპენდია? ღარიბ კაცის ავლა-დიდება მთლად ერთიანად არ ეღირება ას თუმნად და წლიური მისი შემოსავალი 100—120 მანეთს თუ მიაღწევს. ამისთანა შეძლების კაცს, აბა, რა აფიქრებინებს შვილის გამოზდას?! იმას არაფრის გაყიდვა არ უშველის და დარჩენია ერთადერთი საშუალება, რომელიც მოყვანილია ბ-ნ სტოიანოვის ანგარიშში: უზიდოს შვილს ყოველთვეობით რამდენიმე ბათმანი სიმინდი.

„500—600 ბავში სასწავლებლების კარებს ადგებიან და ასში ხუთსა და ათს თუ მიიღებენო და დანარჩენნი ტირილ-ყვირილით შინ ბრუნდებიანო“. კარგი და პატიოსანი, მაგრამ იმათზედ რაღა ვსთქვათ, ვინც არავითარ სასწავლებლის კარს აღარ მიადგება? ვინ არიან ეს 500—600 ბავში? უთუოდ მდიდარნი და საშუალო შეძლებისანი და ნამდვილნი ღარიბნი, რომელთა ინტერესი დაიყენა თვალწინ კომისიამ, იშვიათად თუ იპოვებიან მათ შორის.

რაც შეეხება თითონ პროექტის შინაარს, ჩვენ ამაზედ არა გვეთქმის-რა, გარდა იმისა, რომ იგი სრულ-ქმნილად არავის არ მიგვაჩნია. შეიძლება შეცდომა გასწორდეს, რაც აკლია, შეივსოს. უთუოდ უნდა იქნას გარდადებული რაოდენიმე ფული ბავშების მოსამზადებლად, იმ გვარადვე, როგორც ეს ჰქმნა ტფილის თავად-აზნაურობამ. კომისიის ფიქრი, რომ მთავრობა ამაზედ არ დათანხმდებაო, ვგონებ, არ გამართლდეს.

ისიც ითქვა კრებაზედ, რომ სტიპენდიებს მხოლოდ ღარიბთა სახელი ერქმევა, ნამდვილად-კი მდიდართა სახრავად გახდებაო და, ამის დასამტკიცებლად, წამოაყენეს საზოგადოების მიერ არჩეულთა უკუღმართობა დღეს არსებულის სტიპენდიების მინიჭების შესახებ. როგორც პროექტიდგან სჩანს, ეს გარემოება კომისიასაც ჰქონდა მხედველობაში. პირად ჩვენ იმისიც გვეშინიან, რომ, თუ მარჯვეთ არ ვიქმნებით, ადვილად შეიძლება ამ ფულსაც ყლაპია გამოუჩნდეს. მაგრამ ამ გვარი შიში მხოლოდ სიფრთხილეს გვიდგენს ვალად და არა იმას, რომ სრულიად ხელი ავიღოთ სტიპენდიებზედ. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სტიპენდიები საშვილისშვილო, სამარადისო საქმეა და, ღმერთი ისე როგორ გაწყრება, რომ ამ სენისაგან ოდესმე არ განვიკურნოთ, მუდამ დღევანდელებრ უკუღმართნი დავრჩეთ.

ხელ-მოუწყვეტით მიეცეს მოსწავლეს სტიპენდია, თუ სესხად? ამ საქმეში ერთი ისეთი რამ გარემოებაა, რომელზედაც ჰღირს, რომ კაცი დაფიქრდეს. ჩვენის აზრით, სესხად უნდა მიეცეს. ეს სამართლიანი საქმეც არის და დიდი მნიშვნელობაც ექნება ჩვენის ხელმოკლე საზოგადოებისათვის. თუ ღარიბი კაცი განათლებას მიიღებს, რა უსამართლობა იქნება, რომ მან მიღებული ფული ნაწილ-ნაწილად საზოგადოებასვე დაუბრუნოს მაშინ, როდესაც მისი ნივთიერი მდგომარეობა შეაძლებინებს და ამ გვარად ხელი გაუმართოს მის წინანდელ მდგომარეობაში მყოფ ღარიბ მოსწავლეთა საქმის წარმატებას. წლიური 20,000 მან. სამარადისო სალარია და, მისი

საზოგადოება დაფუძნებულად ჩაითვლება და ფული გადაეცემა გამგეობას, რომელსაც, არჩევენ აქციონერები და რომელიც ზედამხედველობაშიც იქნება სახელმწიფო სამინისტროისა.

თუ ნახევარი საქციონერო თავნისა არ შეგროვდება უწყებულ ვადაში, სახელმწიფო ბანკში შეტანილი ფული უკანვე უბრუნდებათ ხელის მომწერლებს მთელი სარგებლით, რაც ხანი ბანკში იყო ფული.

ხელის მომწერთა ინტერესი ყოველ შემთხვევაში მტკიცედ იქნება დაცული მთავრობისაგან. ამას გარდა, ის დღიდან, როცა ფული აქციონერებისაგან შეგროვდება ბანკში, ხელის მომწერნი ითვლებიან საზოგადოების წევრებად და სრული უფლება ექნებათ გამგეობის მოქმედების ზედამხედველობისა.

არც იმისი უნდა შეშინდეთ ხელის მომწერლებს, თუმცა რომ რკინის გზის შემოსავალი [illegible]

გარდა ამისა, საუფლისწულო მამულების

უწყებამ. მთავრობის და საზოგადოების სხვა დაწესებულებათ, აგრეთვე ბევრმა სხვა პირმა იღვითქვა აქციებზედ ხელის მოწერა. რაც შეეხება საობლიგაციო ანუ სასესხებელ თავნსა, იგი დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნება რკინის გზის საზოგადოებისაგან, რაკი შესდგება საქციონერო თავნი.

არავითარი დაბრკოლება არ მოელის დამატებითის სესხის მიღებისა 10%-ს მამულის ღირებულობისას, რადგანაც რკინის გზის გაყვანით მამულის ფასი 10% მეტს მოიმატებს და ბანკებს არაფერი საშიში არა მოელით-რა. ნურც იმას დავივიწყებთ, ბანკების გაცემული ვალი, ყოველ წლიურ შეტანით, მცირდებოდა ასე რომ იქნება მომეტემულისათვის 10% დამატებითი სესხი წინანდელ სესხს ვერც-კი ღერიდეს, ამიტომ ბანკები დაუბრკოლებლივ შეასრულებენ ამ სესხის საქმეს.

სარგებელი დამატებითის სესხის გამო იქამდის მცირე იქმნება შედარებით რკინის გზის გაყვანისაგან სარგებლობასთან, რომ ამან არ უნდა შეაშინოს მემამულენი აქციებზედ ხელის მოწერაში.

ჩვენ იმედი გვაქვს, ყოველივე ზემორე მოხსენებული დაგარწმუნებთ ჩვენგან დაწყობილ საქმის სარგებლობასა, აქციებზედ ხელის მოწერის უშიშრობასა და დაწყობილი საქმის გამარჯვებასა. ამიტომაც საზოგადოება მოგმართავთ წინადადებით მოაწეროთ ხელი კახეთის რკინის გზის აქციებზედ და საზოგადოდ შეძლების დაგვარად ხელი შეუწყოთ ამ საქმის რიგიანად დაგვირგვინებას.

ამასთანავე გაახლებთ:

1) აქციებზედ ხელმოსაწერ ბლანკს.

2) ბლანკი თხოვნისა დამატებით სესხზედ აქციების შესაძენად (იმათთვის ვისაც ნაღდი ფული არა აქვს).

3) ბლანკი იმ მამულის გაყიდვისა, რასაც დაიტანს კახეთის რკინის გზის ლიანდაგი.

ხარჯი დამატებითის სესხის გამოსატანი მთხოვნელისაა, ამისათვის თხოვნასთან ერთად ხუთი მანეთიც უნდა წარმოადგინოთ, რომელიც კახეთის მევენახეთა საზოგადოების კასაში მიიღება და ჯეროვანი კვიტანცია მოგეცემათ, როცა დაიხარჯება, ანგარიში იქმნება წარმოდგენილი.

ფული აქციების შესაძენი უნდა გაიგზავნოს პირდაპირ ხახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში.

ყოველ ცნობისათვის ამ საქმეზედ, თუ ვინიცობაა ისურვებს ვინმე, ვთხოვთ, მიმართონ საზოგადოების მთავარ კანტორას ტფილისში, ერევნის მოედანზედ, სუმბათოვის სახლში.

დაიწყეს ლაპარაკი იმაზედ, შეიძლება თუ არა წინადადების ახლავე მიღებაო.

ნადიკვრელი.

(შემდეგი იქნება)

# ჩვენებური ამბები

**ფოთი.** თითქმის დღე არ მიდის ისე, რომ რაიმე უბედურება არ მოხდეს აქ. ჯერ რომ ადამიანს ერთი ამბავი არ დაუვიწყნია; უკვე მეორე იჩენს ხოლმე თავს. ჩხუბსა და აურ-ზაურს ხომ საზღვარი არა აქვს.

ამ დღეებშიაც მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც მთლად აალაპარაკა მთელი ფოთი, 21 თებერვალს, დილის $4^1/_2$ საათზედ, ფოსტას თავს დაესხნენ ვიღაც ბოროტ-განზრახველნი. გაედოთ ფანჯარა და იქიდგან გადასულიყვნენ შიგ. მაშინვე მიცვივნულან იმ ადგილს, სადაც ფული ეწყობოდათ და დაუწყვიათ რახუნი. ბოროტ-განზრახველნი ერთიან დაატალიერებდნენ ფოსტას, მაგრამ, საბედნიეროდ, მეორე ოთახში ეოფილან ფოსტის მოხელენი, რომელთაც გაუგონიათ რახუნი და გამოცვინულან. ბოროტ-გამზრახველთ მოხელეთათვის რევოლვერის სროლა დაუწყვიათ; თავის მხრივ, მოხელეებსაც უსვრიათ, მაგრამ ტყვიას ტყუილად გაუვლია ჰაერში. უკანასკნელად, გაქცევის წინად, ბოროტ განზრახველთ გაუსროლიათ რევოლვერი და კიდეც დაუჭრიათ ტელეგრაფისტი დავიდოვი. ფოსტასტან საჩქაროდ გაჩნდა პოლიცია, მაგრამ ბოროტ განმზრახველთ უკვე მოასწრეს დამალვა. როგორც ამბობენ, ფოსტის სადგომში სამი ბოროტ-განმზრახველი შესულა, გარედ-კი რამდენი იყო, არავინ იცის.

იო.

**ქუთაისი.** დღე ერთია და ხუთი დაათი აქაურ მაღაზიებში და წვრილად სავაჭროებში უჩვეულოდ ჩამომვლელ იმთვრალ-მთვრალი ფულის მთხოვნელი ახალგაზდა ვაჟკაცები; ზოგი ნახევარ ბოთლი ღვინის ფულს თხოვილობს, „ენა მოტეხით“, ზოგი მთელი ბოთლისას და ზოგი ბანქოს სათამაშო ფულს; მოვაჭრეებიც აძლევენ,—რადგანაც იციან, ჩხუბსა და გინებას დაუწყებენ, რომ არ მისცენ, და თავს აღარ აღანძღვიიებენ. ესენი ყველანი არიან ისევ ადგილობრივი დაზარმაცებული ხელოსნები, ზოგი დერციკაა, ზოგი ხარაზია და ზოგი სხვა ხელოსანია, რომელსაც თავიანთ ხელოსნობით მშვენივრად შეუძლიანთ იცხოვრონ, თუ გაირჯებიან და ამ ყველასათვის და თავიანთ სასირცხვო და საზიზღარ ჩვეულებას მოიშლიან.

არხ. იანეთელი.

## ქიზიყის ქსენონები.

ამ ბოლოს დროს მომეტებულად დაიწყეს ლაპარაკი ქიზიყზედ და მეც, როგორც ამ ქიზიყის ხალხთან დაახლოვებული ჩემის სასახურის გამო, ვალად ვრაცხ, ორიოდე სიტყვა წარმოვსთქვა ამათ შესახებ.

ერთი ჩემი ნაცნობი მირჩევდა, სოფლად სამსახურში შევსულიყავ, და ნამეტნავად ქიზიყში, სადაც ხალხი თითქმის „ველური და შეუგნებელიაო“. ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაუბედავად მივდიოდი ქიზიყისკენ, კერძო სამკურნალოს ექიმად.

ქიზიყში ორი ქსენონია: ერთი სოფელ ანაგაში და მეორე—ქვემო-მაჩხაანში. ქვემო-მაჩხაანის ქსენონს ინახავს თითქმის თვრამეტი სოფელი, რომლებშიაც სცხოვრობს 8,000 კომლამდე, თითო კომლი იხდის წელიწადში ათ შაურს, ღარიბ სახლობების გარდა. ამ სოფლებში, თუ ექიმი თავისივე ცხენით წავიდა, რა მანძილზედაც უნდა მიიწვიონ, მხოლოდ მანათი უჯდებათ, წამლები-კი ქსენონიდგან უფასოდ ეძლევათ. აუარებელი ხალხი, რომელიც მუდამ დღე გროვდება ქსენონში (მაგალითად ამ წლის პირველ იანვრიდგან თებერვლის 18-მდე მოსულა 2,182 ავადმყოფი), ექიმი ძალაუნებურად დაწვრილებით გაიცნობს მისს ხასიათს, ჩვეულებასა და გარემოებას.

მართალია, აქაური ხალხი უფრო ამაყი და თავისუფალია, ვიდრე ბატონ-ყმობისგან დაჩაგრული გლეხ-კაცობა, მაგრამ ქიზიყელი კაცი მხოლოდ გარეგნობით წარმოადგენს გაუთლელს, რიხიან მოლაპარაკეს, ახლო-კი რომ გაიცნობთ, აზრს გამოიცვლით.

აქაური ხალხი შრომადია, მხნე, სარჩოს დამზოგველი და [illegible] გამოც შეძლებული. აქ ძალიან იშვიათად შეხვდებით ჩალურს ქოხმახებს, ყველას ქვითკირის სახლები უდგას, შიგნიდაც გვარიანად მოწყობილი. ქიზიყელი კაცს ცხოვრების ავკარგიანობა ესმის და სცდილობს, როგორმე უკეთ მოაწყოს თავისი საქმე: მისდევს ხვნა-თესვას, მევენახეობას (მომეტებული ნაწილი სწამლავს ვენახებს), მოჰყავს ბლომად თამბაქო, მრავლად ჰყავს ცხვარი, ცხენის ჯოგი და სხვა საქონელი; ამას გარდა, მისდევენ ხელოსნობასაც და აღებ-მიცემობას.—საუკეთო მაღაზიები და დუქნები არა იშვიათია აქაურ სოფლებში. რაიმე სასარგებლო საზოგადო საქმეში არამც თუ არ ჩამორჩებიან სხვა კუთხის ქართველებს, არამედ წინაც სდგანან; ამას გვიმტკიცებს ქსენონების დაარსება, სკოლების გავრცელება და დეპოს გახსნაც, რომლის დაკარგვა ქიზიყელ ხალხს დღესაც დიდ უბედურებად მიაჩნია.

წარსულ 1902 წლის „ივერიის“ 221 და 222 ნომრებში ბ-ნი ქიზიყელი უქადის საუკუნოდ განსვენებას ქსენონებს, თუ დროზედ საჭირო ურადღება არ მიექცია მათ. რა თქმა უნდა, ყველა კეთილ საქმეს თუ ბოლო არ მიადევნა, ქიზიყელის წინასწარმეტყველება ასრულდება, მაგრამ ეს გვაკვირვებს ჩვენ: ნუ-თუ ყველა საზოგადო კეთილ საქმეს ქიზიყში წილად აღმოფხვრა უნდა ხვდებოდეს?!—თუ ქსენონებსაც ისეთი მოდგაწე გამოუჩნდა, როგორც დეპოს და ბიბლიოთეკას, რასაკვირველია, კეთილი ბოლო არც ქსენონებს მოელის: დეპოსაგან ქიზიყელ ხალხს დარჩენია სახსოვრად ერთი დექსი. ექვსი წლის წინად დამარხულ ბიბლიოთეკისაგან-კი ორიოდე მიგლეთილ-მოგლეჯილი, ჩანესტიანებული წიგნი და პატარა ბარათი: „ვალდებული ვარ, გადავიხადო ჩემთან მობარებული ბიბლიოთეკის ფული (რამდენი?!), როდესაც ღვინოს გავყიდი“.

სამწუხაროდ, ახლა ქსენონსაც ძირს უთხრიან და სცდილობენ მასაც ბოლო მალე მოუღონ.

ორიოდე სიტყვით მსურს მკითხველი გავაცნო, რასა სჩადიოდნენ ქიზიყში კერძო აფთიაქების პატრონები. ვიდრე აქ ქსენონი დაარსდებოდა: ისინი აქ მეორე ღმერთები იყვნენ და ეგრეც ეუბნებოდნენ ავადმყოფობისაგან გაჭირებულს ხალხს: „მაღლა ღმერთი, და აქ მეო“. და ურიგებდნენ წამლებს ნიშნეულ სახელებით: „შვიდაბაზიანი“, „წითელი კაპლები“, „შავი კაპლები“ და სხვა, და ასე ჰკურნავდნენ ხალხს სხვა და-სხვა სენისაგან; რა შედეგიც ჰქონდა ამისთანა წამლობას, ძველი და ახალი სტატისტიკა გვიჩვენებს. ცხადია, რა ნაირად ესიამოვნებოდა ზოგიერთ აფთიაქების პატრონებს ქსენონების დაარსება, საიდგანაც ხალხს უსასყიდლოდ ეძლევათ საჭირო წამლები. რასაკვირველია, თუ ზოგიერთნი მათგანი ყველა ღონის ძიებით სცდილობენ ანდერძი აუგონ პატიოსანს და წმინდა საქმეს, მაგალითად, ხალხს არწმუნებენ, რომ ქსენონებში ძველი და უვარგისი წამლები არისო. ეგრე რომ არ იყოს, ხომ არც მუქთად დაგირიგებენო.. . წამლებს ვითომ დაუწმენდავის წყლით ამზადებენო.... მე იძულებული ვიყავი, ხალხის დასამშვიდებლად, გამომეტანა ქვაბი გარეთ და მეჩვენებინა როგორ იწმინდება წყალი წამლებისათვის. თუ ექიმი საჭიროების გამო წავიდა სადმე, თუნდა ოფიციალურადაც იყვეს დათხოვნილი,—თქვენ მტერს და ავად მახსენებელს,—რაც ექიმს დღე მოელის ამათგანვე: უჩივლეთ, ხალხო, გუბერნატორთან, უთხარით, რომ თქვენი მოჯამაგირე არის და თვალიც უნდა მოითხაროს, ყველა თქვენი ბრძანება აასრულოსო.... თავიანთ შეთხზულ ცილის წამებას ქსენონებსა და ექიმებზედ ახვევენ თავზედ ხალხს, ვითომ ამათი აზრი და სიტყვები იყვეს.

ხალხმა რაკი შეიგნო ქსენონების საჭიროება (1902 წელს საავადმყოფოში მოსულა 10,70[illegible] ავად მყოფი) და ამ გვარ გმირებს ყურს აღარ ათხოვებს, ეხლა სხვა საშუალება გამოიგონეს: იშოვეს კერძო აგენტები, რომელნიც ერთგულად უსაღებენ დღესაც „შვიდაბაზიან“ და სხვა წამლებს, და ავრცელებენ ხმას, ვითომ ქიზიყში ექიმები და ქსენონები ჭირივით ეჯავრებოდეს ხალხს, არ ესმოდეს მათი საჭიროება.

ქიზიყის ხალხი, არამც თუ აღმოფხვრას არ უპირებს ქსენონებს, არამედ აზრად აქვთ ბოდბელებს, მაღაროულებს და სხვა სოფლელებს, რომლებიც მიწერილნი არიან ქვემო მაჩხაანის ქსენონზედ, მოშორებით სცხოვრობენ და ადვილად ვერა ხვდებიან ქსენონს, მოუმატონ ფული და დაიარსონ ერთ-ერთს თავიანთ სოფელში ერთი ქსენონი კიდევ. თუ მართლა ათი შაურის მაგივრად კომლმა გადიხადა მანათი, მაშინ 6500 მანეთზედ მეტი შეუდგებათ და ადვილადაც გაძლვებიან, როგორც ქვემო-მაჩხაანისას, ისე ახალ ქსენონსაც. ვისურვოთ, რომ ეს კეთილი აზრი განუხორციელდეთ ქიზიყელებს და არ გახდნენ მტრის გულისად.

ქვემო-ქიზიყის ექიმი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ტერეზა ემბერმა შეთხზა, ვითომ ვიღაც კრაუფორდს 100,000,000 ფრანკი ენდერძებინოს მისთვის, მაგრამ ეს ამბავი—ზღაპარი იყო.

ამ დღეებში, როგორც „Journal“-ი იუწყება, ამ „მიოცე საუკუნის უდიდეს ბოროტმოქმედების“ ერთ ერთ მონაწილეს ცნობა მიუღია—და ვითომ სარწმუნოც, რომ იგი ერთ მემკვიდრეთაგანია ერთის უმდიდრეს ამერიკელისა, რომელმაც 1,000,000,000 ფრანკის ქონება დასტოვაო, ე.ი. ათჯერ მეტი, ვიდრე ტერეზა ემბერმა შეთხზა.

მარსელელ ვექილს ბ-ნ დონან დ'არტიგს შეუტყვია ამ მემკვიდრეობის ამბავი, მოუძებნია 60 მემკვიდრემდე, რომელთაც უფლება აქვთ ამ 1,000 მილიონ ფრანკის პატრონის ვიღაც სტიუარტის (1873 წელს გარდაცვლილა ნიუ-იოკში) მემკვიდრეობა მიიღონ, მემკვიდრეობა, როგორც დ'არტიგი ირწმუნება, ყალბის ანდერძით უკანონოდ ჩაუგდია ხელში ვიღაც მილტონს, დ'არტიგი თავის თავზე ღებულობს, ყოველივე ამას აშკარად დავამტკიცებო. ამ დღეებში ნიუ-იორკის სასამართლოსათვის დონან დ'არტიგს უმთავრეს კანონიერ მემკვიდრეთ წარუდგენია ჯონ სტიუარტი, მაგრამ სასამართლომ ის საბუთები, რომლის ძალითაც კანონიერ მემკვიდრედ უნდა ეცნო სტიუარტი, არ იკმარა.

საყურადღებოა, რომ თვით პარიჟში შეაგროვებს საჭირო თანხა, ამ ახალ საქმის საწარმოებლად, რომელიც ერთი ათად აღემატება „დიდ ტერეზას“ საარაკო მემკვიდრეობას.

—პალატის კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განხილვა კონგრეგაციათა თხოვნებისა,—საფრანგეთში დაფუძნების ნება მოგვეცითო—უკვე დაამთავრა თავისი შრომა, მისი მოხსენება კიდეც დაურიგდა დეპუტატებს.

მოხსენება წარმოადგენს ვრცელს საბუთს, რომლის ავტორსაც—დეპუტატ რაბიეს—[illegible]

ნახევარიც რომ დაუბრუნდეს საზოგადოებას, მილიონები შესდგება. განმეორებით ვიტყვი, თუ საზოგადოება ისევ დაუბრუნდა სტიპენდიების დაარსებას, [illegible]

ამ უდიდეს საჭიროებისათვის იმ გვარადვე, როგორც აქამომდე უზრუნია. მან წელსაც დააარსა ერთი საქალაქო სასწავლებელი.

ეჭვი არ არის, ახლო ხანში კერძო საშუალო სასწავლებლებიც გაჩნდება. ჩვენის აზრით, რომ კაცი გვყავდეს, დღესაც არ უნდა იყოს ეს შეუძლებელი. მართალია, თავად-აზნაურობის შეძლებამ დიდათ დაიკლო, მაგრამ წინ წამოდგა ახალი წოდება, რომლის ნივთიერი კეთილდღეობა დღითიდღე იზრდება. სამკურნალოის გამართვა ჩვენში ქალაქებმაც ვერ შესძლეს და ვინ იფიქრებდა, რომ ამას კერძო კაცი მოახერხებდა; მაგრამ ბ-ნ სამსონ თოფურიას ცოდნამ, ენერგიამ და ორგანიზატორულმა ნიჭმა სამაგალითო სამკურნალო შექმნა. განათლების საქმეც თავის სამსონ თოფურიას მოელის და მას ჩვენ მხოლოდ მაღალი განათლება მოგვგვრის.

კომისია არ აჰყვა იმ აზრსა, რომ ჩვენი ახალი საღსარი ყველა ღარიბს ერგოს და ამ აზრით დაბალი სასწავლებელი დავაარსოთ სოფლებშიო. ჩვენ ხელთ არ არის, ხუთის პურით ხუთი ათასი კაცი გავაძღოთო. კომისიის აზრი უფრო ფართო იყო სწავლა-განათლებისსაჭიროების არჩევაში. მან აირჩია ისეთი საჭიროება, რომელიც ამ თავით მცირედის შემწეობით კმაყოფილდება, მაგრამ ოდესმე მოიტანს ნაყოფს, რომელიც ყოველთა თანასწორ მოეფინება. რუსეთში გლეხ-კაცების ფულით მაღალი სასწავლებელი დაარსეს. იმ დროს გლეხ-კაცობას სწავლის უფლებაც არა ჰქონდა. გაიარა საუკუნემ და დამტკიცდა, რომ გლეხ-კაცებს იმ სასწავლებლებში დიდი წილი სდებიათ: დიადი მეფე ალექსანდრე მეორე იყო იმ სასწავლებლების ჭეშმარიტი შვილი და მისი დიდებული რეფორმები მათივე ნაყოფია.

ასეთია ვითარება უმაღლესად ნაბოძების 20000 მანეთის მოხმარებისა. ამგვარი ორი აზრი ტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში. ოღონდ სასწავლებელი გაიხსნას და, თუ იქიდგან ღარიბებს არაფერი ერგებათ, სტიპენდიის მოწინააღმდეგენი ამას აღარ დაეძებენ; ბავშვმა სასწავლებელში თავი შერგოსო და იმასკი არ კითხულობენ, რა მოელის შემდეგ, შეიძლება თუ არა თავი გამოიკვებოს სწავლის დროს?! სტუდენტმა ასწავლოს და ისწავლოსო და იმას-კი ვერ ჰხედვენ, რომ სტუდენტი ამ სწავლება-სწავლაში იღუპება. სტუდენტმა უნივერსიტეტი გაათავოს, დიპლომი შეიძინოსო და იმას-კი აღარ ფიქრობენ, დიპლომთან ერთად, სხვა რა ბარგი გამოჰყვება უნივერსიტეტიდგან. ასეთი არ არის ჩვენი შეხედულობა და აზრი.

ჩვენ გვსურს სასოწარკვეთილებიდგან გამოვიყვანოთ ღარიბნი, რომელნიც, უსაღსრობისა გამო, შვილების აღზრდისათვის აღარც-კი ჰფიქრობენ, მივეშველოთ იმათ, ვინც კიდევ დარჩენ სასწავლებლებში, მაგრამ აუტანელ ვითარებაში იმყოფებიან, ჰყავდესთ ღარიბებსაც თავისი კონტინგენტი სასწავლებლებში, როგორც დაბლა, ისე მაღლა.

ჩვენ გვსურს მოსწავლეს უკან არ მოსჩხაოდეს, როგორც შავი ყორანი, ლუკმა პურის შიში, სწავლობდეს და არა ასწავლიდეს, შეიძინოს არა მხოლოდ დიპლომი, არამედ ყოველმხრივი განათლება, გონების განვითარება, მკვიდრად დაიდგას მის გულში ტახტი უკეთესის მომავლის იდეალმა.

ჩვენ გვსურს ხელუხლებლად დაცულ იქმნას მისი ჯანმრთელობა, რომ შესძლოს სავსებით გარდაშალოს და მოახმაროს თავისი ნიჭი და ცოდნა მომავალს მოღვაწეობას, სიცოცხლე იყოს მისთვის სიამოვნება და არა ტანჯვა, იყოს იგი არა მარტო თანამგრძნობელი იდეალისა, არამედ ენერგიულად მომქმედი მის განსახორციელებლად, არ დასცეს იგი კაცთა უკუღმართობამ და სოფლის დაუდგრომელობამ, იმოღვაწეის ამგვარად და იცოცხლოს უკიდურეს სამზღვრამდის, რომელიც ბუნებას კაცის სიცოცხლისათვის დაუდგენია.

ახლა მკითხველმა გაარჩიოს, რა სჯობს ღარიბთათვის, რა უფრო ნაყოფიერი იქნება სამშობლოსათვის.

დიდი უბედურებაა ერისათვის, როდესაც იგი პოლიტიკურ დამოუკიდებლობას დაჰკარგავს, მაგრამ ეს კიდევ არ შეადგენს ყოველსავე. ამ ერმა შეიძლება მიაღწიოს უმაღლეს ზნეობრივ-გონებრივ განვითარებას, უმაღლეს ნივთიერ კეთილდღეობას, შეიქმნეს ბედნიერი; მაგრამ ამისთვისთვის საჭიროა გამოიაროს კულტურული ბრძოლა და გამარჯვებული გამოვიდეს ამ ბრძოლიდამ. როგორც ომში ბრძოლას, ამ ბრძოლასაც სარდალი ეჭირვება და ამ სარდალს ჩვენ მაღალ განათლებისაგან უნდა მოველოდეთ. დაუფასებელია საზოგადოებისათვის კარგი მრჩეველი, კარგი წინამძღვარი. კარგმა წინამძღვრობამ დაქუცმაცებული და დასუსტებული გერმანია შეაერთა და უძლიერესს სახელმწიფოდ გარდაქმნა; ცუდმა წინამძღვარობამ დიდებული საფრანგეთი დაამხო და ძირს დასცა. სად გერმანია, სად საფრანგეთი და სად ჩვენი საწყალი სამშობლო! მაგრამ კანონი ერთი და იგივეა დიდთა და წვრილთათვის.

კულტურული ბრძოლა უფრო საშინელია, ვიდრე ომი. აქ მტრისათვის არ არსებობს არავითარი საერთა-შორისო სამართალი; იგი მოკლებულია შებრალებისა და მადლის გრძნობათა; მან არ იცის არც შეჩერება, არც ზავი. კვალში უდგია მსხვერპლს და მხოლოდ მაშინ გაჩერდება, როდესაც მოსპობს სავსებით, ან და თითონ გამოელევა ყოველი ძალ-ღონე საბრძოლველად. ყოველივე ეს ნათლად სდგას მეცნიერებით აღჭურვილის თვალ წინ; მხოლოდ ასეთი მოღვაწე დასდებს შესაფერ წამალს. კულტურულ ომში ჩაბმული და მრავალგან დაწყლულებული საზოგადოება-კი ვერ ჰხედავს ამასა; თითოეული მისი წევრი ვერც-კი გრძნობს მის ფეხქვეშ მისსავე მოსასპობლად მიმართულს მოძრაობას.

ვაი იმ ერს, რომელიც ამ ბრძოლაში დამარცხდება: მისი არსებობა აღიგვება ქვეყნის პირისაგან და მისის სამშობლოს სახელი მხოლოდ გეოგრაფიულ ტერმინად დარჩება.

ლუარსაბ ლოლუა.

წვრილებით გახუხილავს ყოველ კონგრეგაციის მიერ წარდგენილი თხოვნა. თანახმად დადგენილებისა, რომელიც მიუღია კომისიასაც და მთავრობასაც, მომხსენებელს სამ ჯგუფად გაუყვია ყველა თხოვნები: 1) თხოვნები 25 კონგრეგაციისა, რომელნიც მასწავლებელ-აღმზრდელობას ეწეოდნენ სკოლებში; 2) 28 კონგრეგაციისა, რომელთა ხელობაც მოძღვარ-მქადაგებლობა ყოფილა, და 3) კონგრეგაციებისა, რომელნიც ალებ-მიცემობას მისდევდნენ; ამ უკანასკნელ ჯგუფში მხოლოდ ერთი კონგრეგაცია ურევია,—კარტეზიანთა ძმობა,—რომელიც ცნობილ „შარტრეზის“ ლიკიორს ამზადებდა. მოხსენებაში ნათქვამია,—ეს სამ ჯგუფად დანაწილება კონგრეგაციებისა უფრო ხელოვნურიაო; ყველა კონგრეგაცია ერთსა და იმავე დროს მასწავლებლობასაც ეწევა, მქადაგებლობასაც და ალებ მიცემობასაცაო. არავითარ საქმეს არა თაკილობენ, ოღონდ-კი ქონებრივად გაძლიერდნენ და მკვიდრად მოიკიდონ ფეხიო. ამის გამო, კომისიის აზრით, ყველა 54 კონგრეგაციის თხოვნა უნდა უარვყოთო. რაიცა შეეხება პალატის მიერ ამ თხოვნათა განხილვას, კომისიას საუმჯობესოდ მიაჩნია, რადგან სამ ჯგუფადაა დაყოფილი, სამ კანონპროექტად გაანაწილოს იგინი. პირველი კანონპროექტი, თანახმად კონგრეგაციათა რიცხვისა, 25 მუხლს უნდა შეიცავდეს, მეორე—28, და მესამე—1-ს. გარდა ამისა, კომისია ურჩევს პალატას, მხოლოდ პროექტებს უყაროს საჭითაოდ კენჭი და არა ნაწილ-ნაწილად, ყოველს თხოვნას ცალკე; ასე რომ, ყველა კონგრეგაციათა თხოვნების სვე-ბედი გადასწყდება სამჯერ კენჭის ყრით.

**ინგლისი.** სანამ დასრულდებოდა კამათი ადრესის შესახებ, კონსერვატორ დეპუტატმა გოვარდ ვინსეტმა წარადგინა დამატება, რომელშიაც პალატის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ლონდონს ამ უკანასკნელ ხანებში უცხოეთიდგან მიაწყდა დიდძალი ხელმოკლე ხალხი, რომელსაც არავითარი სარჩენი არა აქვს ცხოვრებისათ. მათი გამრავლება მეტად ცუდს მომავალს უქადის ინგლისელ მუშათა კეთილდღეობას და მეტად სახიფათოა ეროვნულის მხრითაცაო. ორატორმა მოითხოვა,—მთავრობამ სისრულეში მოიყვანოს თავისი დაპირება,—შეიმუშაოს საჭირო კანონპროექტი, რომ უცხოელ ხელმოკლე ხალხის გადმოსახლება ლონდონში შემცირდესო. გოვიარდ ვინსეტმა განაცხადა,—1902 წელს ინგლისში გადასახლებულა 81,402 უცხოელი, 1901 წელს-კი—70,610; მათ შორის ბევრია ისეთი, რომელთაც სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედებისათვის სასჯელიც მოუხდიათ. [illegible]

—ლონდონის გაზეთების სიტყვით, [illegible]

**შვეიცარია.** [illegible]

—ციურიხის კანტონის საბჭომ გამოაქვეყნა 1901—1902 წწ. ანგარიში, [illegible] 50,000 [illegible] 100,000 [illegible] 65 ზარბაზნის [illegible] 567 [illegible] 36,847 [illegible] 100 ფრ. [illegible]

—ცუგის კანტონში—ხშირი და მსხვილი სეტყვა მოსულა. დაუცლიათ ზარბაზნები მარჯვენა ნაპირზე, რის გამო სრულიად უვნებლად გადარჩენილა ეს მხარე, მარცხენა ნაპირი ტბისა-კი სულ გაუვერანებია სეტყვას. შეუმჩნევიათ, რომ ძლიერი ქარი მეტად უშლის ხელს ზარბაზნების მოქმედებას. ერთს უბანში, რომელსაც სამჯერ მოვლინებია სეტყვის წინამორბედი ღრუბლები, სამივეჯერ მშვიდობით გადარჩენილან ზარბაზნების წყალობით. ადგილობრივ მკვიდრთა დაკვირვებით, მეტად სასურველი ნაყოფი მოაქვს სეტყვის საწინააღმდეგო ზარბაზნებსაო.

— ბერნის კანტონში სწორედ საარაკო გაფიცვა მომხდარა გაზეთის გამომცემთა შორის. კანტონის მთავრობას საკუთარი ორგანი აქვს, „Amtsanzeiger“-ი. თუმცა ამ ორგანს სრულიად საკმაო თანხა ეძლევა მთავრობისაგან და გარეშე შემოსავალიც კარგა ბლომადა აქვს, მაინც მეტოქეობას უწევს სხვა გაზეთებს და კერძო განცხადებებსაც-კი ართმევს მათ. გამომცემლებმა რამდენჯერმე განაცხადეს ასეთ უსამართლობის გამო უკმაყოფილება, მაგრამ არა გაუვიდათ-რა. დასასრულ გადასწყვიტეს,—კრინტსაც ნუ დავსძრავთ მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონებისა და პროექტების შესახებაო. მათს შეთქმულობას საუცხოვო შედეგი მოჰყვა: პირველსავე კენჭის ყრაზე,—რადგან გაზეთებიდგან არა იცოდა-რა საზოგადოებამ, ხალხი გკვირვებული დარჩა სრულიად მოულოდნელ პროექტებით, და ყველა უარ-ჰყო.

**აბაშეთი.** გაზ. „Djib“-ის უკანასკნელ ნომერში, სხვათა შორის სწერია:

ინგლისის ოფიცრები, რომელთაც, როგორც ევროპაში ჰგონებენ, რას მაკონენის ჯარები სომალილენდს მიჰყავთ გიჟ მოლლას საწინააღმდეგოდ, ჯერ კიდევ არ მოსულან ჰარრარს.

არაოდეს არ ყოფილა პროექტი, რომლის ძალითაც ინგლისისა და აბაშეთის ჯარები შეეერთებინათ და სარდლობა ინგლისელ პოლკოვნიკ როშფორისა და კობბოლდისათვის მიენდოთ.

ინჟინერთა და ტეხნიკოსთა რაზმი ბ. მეტრას უფროსობით იანვრის 29-ს მოვიდა აიაჩუს, იმ ადგილ-მდებარეობის შესასწავლად, რომელზედაც უნდა გაიაროს დარდაუასა და ადის-აბების შემაერთებელმა რკინის გზამ.

გამუდმებულ მუშაობამ იმ რკინის გზაზე, რომელმაც უნდა შეაერთოს აბაშეთის დედაქალაქი ადის-აბები და იმპერატორის სატახტო ქალაქი, ადის-ალემი. ნეგუს მენელიკს 500,000 მუშა დაუყენებია ამ გზაზე სამუშაოდ.

რუსეთის მისსია დიდის გამოჩენით გაემგზავრა ჰარრარს ამ თვის 8-ს. ციხიდგან მოკიდებული შოას კარებამდე ჯარები სამხედრო სალამს აძლევდნენ.

**შეერთებული შტატები.** შეერთებულ შტატებში დიდი ომი გამოუცხადეს ტრესტებს (დიდი სავაჭრო სანაოსნო ამხანაგობა); პირველად თვით შტატების პრეზიდენტი ამხედრდა მათ წინააღმდეგ, და, როგორც უკანასკნელ ცნობებიდგანა სჩანს, მოსალოდნელია, რომ გაიმარჯვოს.

ამ დღეებში ჩრდილოთ-ამერიკის შეერთ. შტატების უმაღლეს სასამართლოს მეტად დიდ-მნიშვნელოვანი დადგენილება მოუხდენია.

აქამდე მოკავშირეთა მთავრობას ნება არა ჰქონდა რომელისამე შტატის საალებ-მიცემო საქმეებს შეჰხებოდა.

ეხლა-კი უმაღლესი სასამართლო ირწმუნება, მთავრობას სრული უფლება აქვს ზოგიერთ შემთხვევაში ხმა აიმაღლოს და განაცხადოს, ესა და ეს სავაჭრო ურთიერთობა შტატებს შორის უკანონოა და უნდა გაუქმდეს ფედერალურ კანონების ძალითაო.

ჰგონებენ, ამ საკონსტიტუციო საკითხის მიღება და დაკანონება წესს აუგებს ტრესტებსაო.

— შეერთებულ შტატების იაპონიაში მყოფი მინისტრ-რეზიდენტი გრისკონი ტოკიოს (იაპონიაში) იქმნა გარდაყვანილი ამავე თანამდებობაზედ.

ეს ახალი დანიშნულება მითაა საყურადღებო, რომ გრისკონი შვილია ერთ უდიდეს საოკეანო ნაოსნობის ტრესტის პრეზიდენტისა“.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 თებერვალი.

**პლოცკი.** სასოფლო სამეურნეო კომიტეტმა საჭიროდ სცნა: თორის რკინის გზის გაყვანა, მდინარე ვისლაზე ნავთ სადგურების აშენება, ვისლის ნაპირების მოწესრიგება, არეულ მიწის მფლობელობის მოსპობა, საშუალო და დაბალ სასოფლო სამეურნეო სკოლების გახსნა, სამასწავლებლო სემინარიებთან მებაღეობისა და მეფუტკრეობის კურსების გამართვა, ვარშავაში საბაკტერიოლოგიო სადგურის დაწესება, სასოფლო-სამეურნეო წესდების გამოცემა, პოლიციის მხედველობის ქვეშ მუშათათვის სამუშაო სახლების გამართვა, მეტრიულ ზომის შემოღება, გამოიცეს ისეთი კანონი, რომ სოფლებს ცეცხლის მქრობელ რაზმის ყოლა დაევალოთ, სასოფლო შემნახველ-გამსესხებელ კასების რეორგანიზაცია, სასოფლო ბეგრის მაგიერ ფულის გადასახადის დაწესება, ეს გადასახადი მოვაჭრე და მრეწველ კლასსაც უნდა დაეკისროს, სამელიორაციო კრედიტის დაწესება და სხვა.

**როსტოვი დონზე.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, სასოფლო სამეურნეო პოლიტეხნიკუმის დაარსება ითხოვოს.—ბირჟის კომიტეტი როსტოვში ოლქის სასამართლოს დაწესებას თხოულობს.

**მექსიკა.** 21 თებერვალს პიკო-დე-კოლიმის ვულკანმა მეტად ძლიერ იფეთქა.

**ბერლინი.** „კელნიშე ცაიტუნგ“-ის ბელგრადელი კორესპონდენტი იუწყება, ადგილობრივი გაზეთები ამბობენ, მალე სამი-ოთხი მინისტრი სამსახურიდგან გადადგებაო.

**კოპენჰაგენი.** მეფის ქრისტიანის დაბადების დღე, 26 მარტს, ვნების კვირას მოდის, ამიტომ იმპერატორი ვილჰელმი ამ დღეს თითონ პირადად ვერ ესტუმრება მეფეს და ამის მაგიერ კოპენჰაგენში 20 მარტს მოვა.

**პარიჟი.** გარეშე საქმეთა კომისიამ მიიღო დელონკლის წინადადება, რომელიც აბისინიის საქმეთა შესახებ დოკუმენტების გამოცხადებას თხოულობს.

**მელილია.** კაბილებისაგან გაგზავნილმა კაცებმა ტახტის მაძიებელი ნახეს და იტყობინებიან, მაძიებელს ბევრი მიმდევარი ჰყავსო; ეს ცნობა მთლად ეწინააღმდეგება ოფიციალურ ცნობებს. კაბილები მელილის ახლო-მახლო ისევ ჰდელავენ, ესენი არ მალავენ, რომ ტახტის მაძიებელს თანაუგრძნობენ.

**ლონდონი.** გამოაცხადეს თეთრი წიგნი, რომელშიაც დაბეჭდილია ლანსდოუნის განმარტება იმის შესახებ, თუ, როგორ უყურებს ინგლისი მაკედონიის საქმეს; ეს განმარტება ავსტრია-უნგრეთის ელჩის აზრის თაობაზეა დაწერილი. განმარტებაში სწერია: რეფორმათა პროექტის მიღება ინგლისისაგან იმას არა ჰნიშნავს, რომ ინგლისს არ შეეძლოს სხვა პროექტის შედგენა, თუ რაიმე მიზეზით ავსტრიისა და რუსეთის პროექტი უვარგისი გამოდგაო.

**სტამბოლი.** რუსეთ-ავსტრიის წინადადების თანახმად, ხონთქარის ბრძანებით პოლიტიკურ დამნაშავეთ ეპატიათ.—დაადგინეს წესი, რომლის თანახმადაც უნდა მიიწვიონ უცხოელი ოფიცრები პოლიციის მოსაწყობად. შეთანხმებას ვალის კონვერსიის შესახებ 21 თებერვალს ფინანსთა მინისტრმა და „გერმანულ ბანკის“ დირექტორმა ხელი მოაწერეს.

**პეტერბურგი.** 22 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალნი ალექსანდრა თეოდორეს ასული და მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ეზიარნენ.

23 თებერვალი.

**მოსკოვი.** აქ გაიხსნა შინაურ ფრინველთა გამოფენა.

**ხარკოვი.** ბანკის საქმის გაგრძელება სასამართლოში დაიწყება 24 თებერვალს.

**აკვილა.** 22 თებერვალს მიწა იძრა.

**ტანჟერი.** ტანჟერის გუბერნატორმა ფეციდან მიიღო ცნობა, რომ მოციქული ტყვედ წაუყვანიათ.

**ლონდონი.** სტამბოლში „სტანდარტ“-ის კორესპონდენტს ჰქონია დაპარაკი დიდ ვეზირთან მაკედონიის რეფორმების შესახებ. დიდმა ვეზირმა სთქვა, რომ რეფორმებს მაკედონიაში შემოიღებენ შეუცვლელად, მხოლოდ ამას დრო უნდაო. ინჟინრები მაკედონიაში ახალ გზებს აკეთებენ, ამის გამო ვაჭრობა შესამჩნევად განვითარდება.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მმართველობამ აცნობა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩებს, რომ კომისია არის შემდგარი, თვალ-ყური ადევნოს ბულგარიის იმ ოჯახთა დაბრუნებას, რომელნიც პატიებულ იქმნენ სულთანის მიერ. ამათ იარაღს ართმევენ და ფიცს აძლევინებენ, მომავალში ერთგული ქვეშევრდომნი იქნენ. აქამდე დაბრუნდა 400 ემიგრანტი.

**პრაღა.** 21 და 22 თებერვალს აშაში, გრასლიცში და ლოვლოხში მიწის ძვრა იყო.

24 თებერვალი.

**მოსკოვი.** საგუბერნიო კომიტეტმა სასოფლო სამეურნეოს რწველობის შესახებ გამოსთქვა აზრი საზოგადო წრების ფორმის შემოღებისა; მოსკოვის გუბერნიაში მიწა ბლომად არის, გარდა ცნობილის რაიონებისა, რომელთა სასარგებლოდაც კომიტეტმა დაადგინა: იშუამდგომლოს, რომ საგლეხო ბანკში პროცენტები დაკლებულ იქმნას, სახელმწიფო მიწები ეძლეოდეს მხოლოდ ადგილობრივ გლეხობას და საზოგადოდ სახელმწიფო მიწების საჯაროდ გადაცემა გაფართოვდეს; სასურველად მიჩნეულია გადასახლებულთა დახმარება და მოწესრიგება, საგლეხო ბანკის მოქმედების გაფართოვება, გაადვილება იმ პირთა განთავისუფლება, რომელნიც გადასახლდნენ ერთის სოფლიდან მეორეში და ადგილობრივ მიწერილობაში არაფერი კავშირი არა აქვსთ, საგლეხო ბანკიდან დამატებითი სესხის ძლევა; შუამდგომლობა აღძრას მიწების მოცვლის ხელშეკრულობების საგერბო გარდასახადიდან განთავისუფლების, ამგვარ ხელშეკრულობების წესრიგის გაადვილების და გამიჯვნის შემსუბუქების შესახებ რისთვისაც საჭიროა სახელმწიფო მუშათა და მიწის მზომელთა რიცხვის გამრავლება; იშუამდგომლოს აგრეთვე გასამიჯნავ მუშაობის ფასის დაკლების და სხვა მრავალ ამგვარ საჭიროებათა შესახებ.

**ხარკოვი.** ქალაქის სამღვდელოებამ მიართვა კიევისა და გალიციის მიტროპოლიტ ფლავიანს ოზერიანის ღვთის მშობლის ხატი და ადრესი. სათავად-აზნაურო საკრებულოში წამავალ დიდებულის პატივსაცემად გაიმართა სადილი, რომელზედაც ორასამდის კაცი დაესწრო.

**ათინა.** მემკვიდრე და სამხედრო მინისტრმა ერთხმად მიიღეს ჯარის გარდაქმნის შესახებ მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი.

**სტამბოლი.** საპოლიტიკო ამნისტი გამოეცხადებათ მაკედონიის ოლქების მცხოვრებთ ორშაბათს.—ვითომ ინგლისის ელჩს მოეთხოვოს ილდიზ-კიოსკისათვის მცირე აზიაში რეფორმების შემოღება, მოკლებულია სიმართლეს, თვით ინგლისი სიცრუედ აღიარებს პატრიარქი ორმანიანი რამდენჯერმე უთითებდა ილდიზ-კიოსკს მცირე აზიის ოლქების მდგომარეობაზედ; ამ ხანად უცნობებიათ მისთვის შემდეგი: პორტამ ბრძანა ჩაითვალონ სომხები ოსმალებთან დათანასწორებულად და ეცადონ მისნი ქვეშევრდომნი, რომ მათ უკანონოდ აღარსად მოექცნენო.—თებერვლის 22-ს ანდრიანოპოლსა და სერესში გაიგზავნა 10,000 თოფი საწყობების შესამსებად.

**პეტერბურგის ბირჟა**, 21 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46,00 |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,45 |
| ლონდონში ჩეკები | 94,95 |
| ბერლინში „ | 46,27½ |
| პარიჟში „ | 37,72½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98⅛ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 101⅛ გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 95 მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 446 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 356½ გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 300½ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 91 წვ. გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები „ „ „ „ | — |
| „ კასპიის ამხანაგობისა | — |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 195¾ წვ. გაყ. |

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

**15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).


## განცხადება

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება მეპარატორები და აბრეშუმის ჭიის თესლი ბაღდადისა და იტალიის ყვითელის ჯიშისა. (3—38—3).

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, დღის თორმეტ საათზედ, 28 თებერვალს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უწმინდურობათა გასაყვან მილის ასაშენებლად სიგრძით 80,00 საჟენი, სიგ. 0,375×0,25 საჟ. მილი უნდა გაყვანილ იქმნას მიხეილის პროსპექტიდგან—სადაც ამ ჟამად არის უკვე გაყვანილი მილი—ამავე პროსპექტზედ, ფარსადანოვის სახლამდე 1,700 მ.

პირობის შეტყობა მსურველს შეუძლიან გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში, ყოველ უბრალო დღეს, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—1)

## ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ხუთშაბათს 27 მარტს 1903 წელს, დღის 12 საათზედ დანიშნულია უკანასკნელი ზეპირი საჯარო ვაჭრობა—შეიძლება წერილობით განცხადებანი—ქალაქის დაგეგმილ ოცდა სამ მიწის გასასყიდათ, რომლებიც მდებარეობენ სანავთსადგურო ქალაქის ფოთის დიდ კუნძულის ოდესის ნაპირების გასწვრივ—შემდეგ №№ 1200, 1201, 1202, 1203, 1204, 1205, 1206, 1207, 1208, 1209, 1210, 1211, 1212, 1213, 1214, 1215, 1216, 1217, 1218, 1219, 1220, 1221 და 1222 ზომით 349-იდგან—414 ოთხ-კუთხიან საჟენამდე თითო. ეს მიწები გაიყიდება იმ პირობით, რომ მყიდველმა სამის წლის განმავლობაში ქვის სახლი ააშენოს ცეცხლის მხრივ უზრუნველ ყოფილ თავსახურავებით. თუ ეს პირო მყიდველმა არ შეასრულა, მაშინ გამგეობა წაართმევს ამ მიწებს და მყიდველები არა თუ მიწის პატრონობის უფლებას ჰკარგავენ, არამედ იმ ფულსაც, რომელიც მიწის ფასად მისცა გამგეობას. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ფულით წინდი,—ოცი პროცენტი მიწის ღირებულობისა. დანარჩენი უნდა შეტანილ იქმნას ერთის თვის განმავლობაში საჯარო ვაჭრობის შემდეგ. როცა მყიდველი მთლად ჩააბარებს მიწის საღირალს ფულს, გამგეობა აძლევს დროებით მოწმობას ამ მიწაზედ შენობის აგების ნების მინიჭების შესახებ; როდესაც მყიდველი შენობას ააგებს, მაშინ გამგეობა მისცემს ნასყიდობის ქაღალდს. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 2 მანეთიდგან ოთ. საჟ.

(3—6—2)

ქუთაისში

ხ. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.